23/10/2025

MES 8 25 0001393541

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი,
თარიღი: 08.10.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00
დასრულების დრო: 12:11
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
საბჭოს მდივანი: ნათია ზედგინიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომა გაიმართა 2025 წლის 08 ოქტომბერს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობის პროცესში მონაწილეობა მიეღოთ დისტანციურად.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **თამარ იოსელიანი** - შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე** - ჯიმკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი;**
3. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
4. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
6. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

7. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
9. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
11. **ემილ ავდალიანი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

პირველი საკითხი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

ელი ელისაშვილი - რექტორი
მარიამ დარბაიძე - რექტორის მოადგილე
გრიგოლ კალანდაძე - კანცლერი

მეორე საკითხი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტი

ნინო ტალიაშვილი - რექტორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

- ვაიდოტას ვილიუნასი *(თავჯდომარე)*; ***(I)***
- ილია ბოცვაძე *(წევრი)* - ***(I)***
- ეკატერინე ბაკარაძე *(წევრი)* - ***(I)***
- ნათია გეგელაშვილი *(წევრი)* - ***(I)***
- ნინო ბოგვერაძე *(წევრი)* - ***(I)***
- ზაზა ცოტნიაშვილი *(წევრი)* - ***(I)***
- დავით სიხარულიძე *(წევრი)* - ***(I)***
- ია მოსაშვილი *(წევრი)* - ***(II)***
- ნანი არაბული *(წევრი)* - ***(II)***
- ია ნაცვლიშვილი *(წევრი)* - ***(II)***

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 11:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შეფეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შეფეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

- **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

არა.

- **საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:**

არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი ვაიდოტას ვილიუნასი (Vaidotas Viliūnas) პირველ რიგში მიესალმა სხდომის წევრებს და მოკლედ წარადგინა ავტორიზაციის გუნდის მიგნებები საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ანგარიშში წარმოდგენილი იყო 18 რეკომენდაცია და 10 რჩევა, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტის მართვისა და ოპერაციების გაუმჯობესებისა და გაძლიერებისკენ არის მიმართული.
მან აღნიშნა, რომ შვიდი ხარისხის სტანდარტიდან სამის შემთხვევაში, უნივერსიტეტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს, ხოლო ოთხი სტანდარტის შემთხვევაში — მეტწილად შესაბამისობაშია. ექსპერტთა გუნდმა განიხილა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციები, თუმცა ამის მიუხედავად, საბოლოოდ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ყველა რეკომენდაცია დარჩა.
პირველი რეკომენდაცია ეხება უნივერსიტეტის მიერ „მესამე მისიის“ პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ განვითარებას სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამების, აგრეთვე უწყვეტი განათლების ხელშეწყობის გ ზ ი თ .
ექსპერტის შეფასებით, აღნიშნული პოლიტიკის მნიშვნელობა განსაკუთრებით მაღალია, რათა უზრუნველყოფილ იქნას აქტიური თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს საკუთარი მსგავსი პოლიტიკა, რომელიც უნდა აისახოს როგორც შვიდწლიან განვითარების სტრატეგიაში, ისე სამწლიან საქმიანობის გეგმაში.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველი რგოლის წარმომადგენლების ინგლისური ენის ცოდნის დონე საკმარისად შესაბამისი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო თანამშრომლობაში, აღნიშნული კომპეტენციის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად მიიჩნევა.
შემდეგი რეკომენდაცია ეხება ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას როგორც საერთაშორისო, ისე აკადემიური მიმართულებების ფარგლებში. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ამ შესაძლებლობების უზრუნველყოფა სრულად არ ხორციელდება, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას.
ექსპერტის განცხადებით, ხელოვნურ ინტელექტს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული პოლიტიკა — როგორც აკადემიური, ასევე კვლევითი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს თ ვ ი ს .
ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ფორმალიზება უნდა განხორციელდეს როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სიცხადის, თანმიმდევრულობისა და ეთიკური სტანდარტების დაცვას საგანმანათლებლო პროცესში.
სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა პრიორიტეტი მიანიჭოს ისეთი აკადემიური პერსონალის დაქირავებას, რომელიც ექსკლუზიურად დასაქმებული იქნება მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში.
ასევე, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს რეალურ შესრულებაზე დაფუძნებული სამუშაო დატვირთვის ოპტიმიზაციის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დროის მოქნილ განაწილებასა და პროდუქტიულობის წახალისებას.
მთავარი მიზანია, რომ პერსონალის რაოდენობამ და სამუშაო დატვირთვის განაწილებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური განხორციელება და კვლევითი მიზნების შედეგიანი მიღწევა.
აქვე აღნიშნა, რომ რეკომენდებულია გაძლიერდეს როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების მხარდაჭერის მექანიზმები.
ასევე, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს მობილობის მხარდაჭერა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან სტრატეგიული პარტნიორობის გაფართოებით,

აქტიური სტუდენტების ინფორმირების, მომზადებისა და მოტივირების მიზნობრივი მექანიზმების დანერგვით, მობილობის პროგრამების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე. განსაკუთრებით აღინიშნა სამართლის სკოლის სტუდენტების მდგომარეობა, რომლებმაც გასაუბრებისას აღნიშნეს გაცვლითი პროგრამების ნაკლებობა სხვა სკოლებთან შედარებით. ექსპერტმა გაამახვილა ყურადღება სტუდენტთა წახალისებაზე, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ გაცვლით პროგრამებში, არამედ საერთაშორისო სტაჟირებებშიც.
გარდა ამისა, ექსპერტთა გუნდმა გამოავლინა საჭიროება და წარმოადგინა რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა მაგისტრატურის სტუდენტებისთვის დანერგოს მიზანმიმართული სამოტივაციო მექანიზმები და შესთავაზოს უფრო მოქნილი ფორმატები სამეცნიერო და კლასგარეშე საქმიანობისთვის. რეკომენდებულია უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპექტის კიდევ უფრო გაძლიერება - აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების შემუშავებით. ასევე რეკომენდებულია სტატიების გამოქვეყნება ჟურნალებში და ყოვლისმომცველი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ, მათ შორის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სხვა ადგილობრივი ან საერთაშორისო საგრანტო ორგანიზაციების კვლევითი გრანტების მოპოვების მიმართულებით. დასძინა, რომ კვლევის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გაძლიერებაც მნიშვნელოვანია - საერთაშორისო თანამშრომლობითი კვლევითი პროექტების განვითარების ხელშეწყობით და აკადემიური პერსონალის გლობალურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით. ასევე რეკომენდებულია დაფინანსების გაზრდა, რათა ხელი შეუწყოს სამუშაო და კვლევითი პროცესების განვითარებას, რაც სტრატეგიული განვითარების გეგმაშია განსაზღვრული.
გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს ხელმისაწვდომი კვლევითი მონაცემთა ბაზების რაოდენობა და უზრუნველყოს მათზე წვდომა როგორც უნივერსიტეტიდან, ისე სხვა ადგილებიდან. ასევე საჭიროა სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების შესახებ.
ასევე, რეკომენდებულია ფინანსური მართვის მექანიზმების გაუმჯობესება, ბიუჯეტის, რისკების მართვისა და ხარჯების მონიტორინგის სისტემის გაძლიერებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მდგრადი ფინანსური სტაბილურობა და ინსტიტუციური განვითარება. საბოლოოდ, შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტი საკმაოდ პერსპექტიულია და წარმატება უსურვა მათ მომავალ საქმიანობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა ელი ელისაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის მსხვილი საერთაშორისო საგანმანათლებლო კორპორაციის ქოლგის ქვეშ, რომელიც აერთიანებს რამდენიმე უნივერსიტეტს სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნულმა გარემოებამ უნივერსიტეტს საშუალება მისცა, კიდევ უფრო მაღალ დონეზე აეყვანა ინტერნაციონალიზაციის პროცესი. დაწესებულებას უკვე აქვს ახალი გაცვლითი პროგრამები როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. განმარტა, რომ აღნიშნულზე დეტალურად ისაუბრებდა უნივერსიტეტის ხარისხის მიმართულების ხელმძღვანელი, მარიამ დარბაიძე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აქტიური განვითარების ფაზაშია. დამატებულია რამდენიმე უცხოენოვანი პროგრამა, რაც ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტს შეტანილი აქვს სინოლოგიის პროგრამა აკრედიტაციისთვის, ვინაიდან ეს მიმართულება საქართველოში ძალიან მოთხოვნადია. საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ უკვე მეექვსე წელია წარმატებით ფუნქციონირებს შორეული აღმოსავლეთის ენების სასწავლებელი, მათ შორის — ჩინური ენის მიმართულება, სადაც 300-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს და ისინი ელოდებიან სინოლოგიის პროგრამას

სწავლის გასაგრძელებლად. მისი თქმით, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს აღნიშნული მიმართულების განვითარებაზე და სწორედ მისი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ჩინური ენის დანერგვა ზოგიერთ სკოლაში, სადაც ამავე უნივერსიტეტის სტუდენტები ასწავლიან.
მისი განცხადებით, ავტორიზაციის შემოწმების პროცესი უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც აჯამებს შესრულებულ სამუშაოს. აღნიშნა, რომ მიღებული რჩევები და რეკომენდაციები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.
ასევე ხაზი გაუსვა, რომ ვიზიტიდან გასული პერიოდის განმავლობაში უკვე შეინიშნება პროგრესი.
საუბარი განაგრძო მარიამ დარბაიძემ. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციებისთვის და ისაუბრა პირველ რეკომენდაციაზე, რომელიც მესამე მისიის პოლიტიკის შემუშავებას ეხებოდა. აღნიშნა, რომ ინსტიტუცია უკვე 2023 წლიდან ახორციელებს მესამე მისიის პოლიტიკის მიმართულებით გარკვეული ხასიათის აქტივობებს - მათ შორის სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით და სხვა მხარდამჭერ ინიციატივებს. აღნიშნული აქტივობები შეტანილია როგორც წლიურ ანგარიშებში, რომლებიც საავტორიზაციო პროცესის ფარგლებში დოკუმენტაციაში მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი, ასევე ასახულია უნივერსიტეტის შვიდწლიან სტრატეგიასა და სამწლიან საქმიანობის გეგმაში.
მან განმარტა, რომ პროცესი გრძელდება და ჩატარდებული ღონისძიებების შემდეგაც დაგეგმილია შესაბამისი აქტივობები. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ჩართულია ორ საერთაშორისო პროექტში, რომლებიც მოიცავს კონკრეტული ტიპის აქტივობებს, რაც უშუალოდ მესამე მისიის პრიზმაში განიხილება. დასძინა, რომ მესამე მისიის პოლიტიკა უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, უბრალოდ ამ მიმართულებით ცალკე დოკუმენტი არ იყო გამოყოფილი, თუმცა ის, რაც მესამე მისიის პოლიტიკას მოიცავს, გაწერილი და განხორციელებული იყო 2023 წლიდან. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ინგლისური ენის ფლობას ეხება, განმარტა, რომ პერსონალის დიდი ნაწილი ფლობს ინგლისურ ენას. აღნიშნა, რომ ეს მიმართულება უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ის საერთაშორისო ინსტიტუციაა და ამ მიზნით შემუშავებული აქვს ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესი. ნებისმიერი პერსონალი, იქნება ეს ადმინისტრაციული, აკადემიური თუ მოწვეული სპეციალისტი, გადის ამ წესის შესაბამისად შეფასებას, ხოლო გასაუბრება მათთან მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხედვით, პერსონალი, რომელიც ინსტიტუციაში მუშაობს, უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას, რადგან ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობის გასაძლიერებლად საერთაშორისო ბაზარზე.
ინტერნაციონალიზაციის კუთხით გაცემულ რეკომენდაციებზე საუბარი განაგრძო საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელმა, გრიგოლ კალანდაძემ. მან საუბარი დაიწყო იმით, რომ ექსპერტმა ახსენა სამართლის მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების აუცილებლობა და განმარტა, რომ უნივერსიტეტს უკვე ჩამოუვიდა Erasmus+-ის ხელმოწერილი ხელშეკრულება თურქეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან. აღნიშნული ხელშეკრულებით ყოველწლიურად განსაზღვრულია ხუთი კვოტა პერსონალისთვის და ხუთი კვოტა სტუდენტებისთვის, ორივე სამართლის მიმართულებით. რაც შეეხება ბიზნესისა და ტურიზმის მიმართულების სტუდენტებს, უნივერსიტეტს 2025 წლის აპრილიდან ექნება კიდევ ერთი ახალი გაცვლითი პროგრამა, სადაც ასევე განსაზღვრულია ხუთი კვოტა პერსონალისთვის და ხუთი სტუდენტებისთვის.
კალანდაძის თქმით, გასულ წელს უნივერსიტეტმა გააგზავნა ორი აკადემიური პერსონალი და ორი სტუდენტი სლოვაკეთში, ეკონომიკისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტში. ამჟამად უკვე მიღებულია მომდევნო წლის დაფინანსების დეტალები და პარტნიორ უნივერსიტეტთან მიღებულია გადაწყვეტილება, რომ გაიგზავნოს ერთი სტუდენტი ბიზნესის პროგრამიდან, ერთი - სამართლის პროგრამიდან. პერსონალის შემთხვევაშიც ანალოგიური პრინციპი იქნება გამოყენებული. გარდა ამისა, ისაუბრა კიდევ ერთ სიახლეზე, თურქეთის ერთ-ერთ

უნივერსიტეტში მომზადდა და გადაიგზავნა Erasmus+-ის ერთობლივი პროექტი, რომელიც უშუალოდ ტურიზმის მიმართულების სტუდენტებსა და პერსონალს ეხება. კვლევების ინტერნაციონალიზაციის ნაწილთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც არსებობს სიახლეები. უნივერსიტეტმა მოიგო COST-ის პროექტი და სამუშაო ჯგუფში ჩართულია უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი. იგეგმება სხვა აკადემიური პერსონალის ჩართვაც. აღნიშნული პროექტი ეხება ახალგაზრდა მკვლევართა ცნობადობის ამაღლებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.

კვლევების ინტერნაციონალიზაციის ნაწილში ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას მომზადებული აქვს „ჰორიზონტი ევროპის“ პროექტი, რომელიც ეხება დემოკრატიული ჩართულობისა და ინკლუზიური მიმართულების კვლევებს. პროექტი მომზადებულია პარტნიორებთან ერთად უკრაინასა და გერმანიაში. გარდა ამისა, COST-ის მიმართულებით მომზადდა კიდევ ერთი პროექტი საბერძნეთის მეტროპოლიტენ კოლეჯის ინსტიტუციასთან ერთად, რომელიც ეხება პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაკვეთის მიმართულებით კვლევებს, მათ შორის ქალთა გაძლიერებასა და ინკლუზიას. მან აღნიშნა, რომ ეს ოთხწლიანი საპროექტო განაცხადია. მესამე მისიის მიმართულებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი ჩართულია ორ პროექტში, რომლებიც ევროკავშირის ეგიდით ფინანსდება და ეხება სოციალურ და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით STEM-ის გაძლიერებას. მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები. სტაჟირება გაიარეს სამართლის, ჟურნალისტიკისა და ფსიქოლოგიის სტუდენტებმა. რაც შეეხება მეორე პროექტს, იგი მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ციფრულ ტრანსფორმაციას, ინკლუზიასა და მდგრად განვითარებას. აღნიშნულ პროექტებში უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად, მათ შორის უკრაინაში, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.

საუბარი განაგრძო მარიამ დარბაიძემ. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას. განმარტა, რომ უნივერსიტეტს აღნიშნულ საკითხზე უკვე ჰქონდა ნაფიქრი მაისის თვიდან და მისი ამოქმედება იგეგმებოდა 2025 წლიდან. ამ ეტაპზე უკვე მოქმედებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მექანიზმებს როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტი უკვე გაცნობილია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნა, რომ სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანმა გამოსცა წიგნი სათაურით „ხელოვნური ინტელექტი და სამართალი“. განმარტა, რომ უნივერსიტეტს კარგად აქვს გააზრებული ხელოვნური ინტელექტის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

რაც შეეხება მეოთხე სტანდარტთან არსებულ რეკომენდაციებს ექსკლუზიურ კონტრაქტებთან დაკავშირებით, დარბაიძემ აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციიდან დღემდე ექსკლუზიური კონტრაქტების მქონე პერსონალის რაოდენობა გაზრდილია 25 პროცენტით, თუმცა დაწესებულებას აქვს გეგმა ეს მაჩვენებელი 50 პროცენტამდე აიყვანოს. სამუშაო ინდიკატორებთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია დატვირთვისა და მონიტორინგის სისტემა, სადაც დეტალურად არის გაწერილი მოქნილი დატვირთვისა და შეფასების ინდიკატორები. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა ნაბიჯი.

საბჭოს სხდომაზე, სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების დოკუმენტი, აგრეთვე მოქმედებს პერსონალის შეფასების წესი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

სტრატეგია, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიიდან. მან აღინიშნა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი და პრიორიტეტული მიზანია კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის განხორციელება.
არაერთ მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროგრესი. ყოველი წლის ბოლოს ტარდება კვლევითი საქმიანობის შეფასება, რათა უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს პერსონალს კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში. ყოველწლიურად ცხადდება შიდა საგრანტო პროექტები, რომელთა ფონდი 30 პროცენტით არის გაზრდილი. ამ ეტაპზე, უკვე გამარჯვებულია ორი საგრანტო პროექტი, რომლებიც კონკრეტული ანგარიშების წარმოდგენის ფაზაშია. მმართველი საბჭოს მიერ წლის დასაწყისში განსაზღვრულია კვლევითი პრიორიტეტები, საიდანაც გამომდინარეობს ქვე-ღონისძიებები, რომლებიც კვლევით საქმიანობას ეხება.
დასაქმების მხარდაჭერის პროცესებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მოქმედებს მრავალი მექანიზმი, რომელსაც კარიერული განვითარების სამსახური ახორციელებს. ენების სასწავლო ცენტრი ამავე სტრუქტურის ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს. დამსაქმებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათთან დასაქმდეს ის კურსდამთავრებული, რომელიც ფლობს ჩინურ ენას.
ბაზების მიმართულებით აღინიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ უნივერსიტეტს დამატებული აქვს ახალი პარტნიორი ბაზები. რეგულარულად ტარდება ტრენინგები და შეხვედრები, რაც უნივერსიტეტის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ, შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თუ რამდენი სტუდენტია უნივერსიტეტში ამ ეტაპზე ჩარიცხული.
მარიამ დარბაიძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე უნივერსიტეტში სწავლობს დაახლოებით 1400 სტუდენტი.
ნინო ჩინჩალაძე ასევე დაინტერესდა, 1400 სტუდენტიდან რამდენია უცხოელი.
მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ ამ დროისთვის დაახლოებით 100 უცხოელი სტუდენტი არის ჩარიცხული, ხოლო დაახლოებით 200 სტუდენტი იმყოფება ჩარიცხვის პროცესში. დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ელოდება ჩინეთის ნაკადს, რასთან დაკავშირებითაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სახელმწიფო დონეზე. აღნიშნული საკითხი განათლების მიმართულებით დარეგულირდა და ამჟამად მიმდინარეობს პროცედურული ეტაპი.
საბჭოს წევრმა სალომე კუჭუხიძემ იკითხა, თუ რომელი პროგრამებით ინტერესდებიან ჩინელი სტუდენტები და რა ენაზე ხორციელდება სწავლება.
მარიამ დარბაიძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტს ამ ეტაპზე აქვს სამი ინგლისურენოვანი აკრედიტებული პროგრამა: ბიზნესის სამაგისტრო, ბიზნესის საბაკალავრო და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები. აგრეთვე, განათლების ხარისხის ერტცნულ ცენტრში აკრედიტაციისთვის შეტანილია სინოლოგიის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა. არსებულ პროგრამებს შორის ჩინელი სტუდენტები სამივე მიმართულებით არიან დაინტერესებულნი.
საბჭოს წევრი ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, რას მოიცავს სინოლოგიის მიმართულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სინოლოგია აერთიანებს როგორც ენის ინტენსიურ კომპონენტებს, ასევე ჩინეთმცოდნეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კურსს. მათ შორის, ისტორიის, კულტურისა და საზოგადოების საგნებს. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ამ მიმართულებით ჰყავს გამორჩეულად კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, როგორც ქართველი, ისე ჩინელი პროფესორები. დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს რესურსი

საზღვარგარეთ გააგზავნოს მდიდი რაოდენობის სტუდენტები პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამჟამად ერთ-ერთი ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტი იმყოფება ჩინეთის წამყვან უნივერსიტეტში.
თამარ იოსელიანმა მიმართა ექსპერტებს რჩევებთან დაკავშირებული განმარტების თხოვნით, კონკრეტულად, 1.1.1 და 1.2.3 მიმართებით.
ექსპერტმა ვაიდოტას ვილიუნასმა განმარტა, რომ კრიტერიუმი 1.1.1-თან დაკავშირებით უნივერსიტეტს შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე დამუშავებული ჰქონდა და მხოლოდ მცირე კორექტირება იყო საჭირო. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხი რეკომენდაციის ნაცვლად რჩევის ფორმატში ჩაიწერა.
1.2.3-ის შეფასებისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვებების შედეგად გამოიკვეთა ზოგიერთ დოკუმენტის ინგლისურენოვანი თარგმანი განსხვავებული ფორმატით იყო წარმოდგენილი. ვინაიდან ეს საკითხი ტექნიკური ხასიათისაა, ის ასევე რჩევად დაფიქსირდა.

სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება

დაწყების დრო: 11:45
დასრულების დრო: 11:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს "საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ჯიუს" 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების (დაწესებულების სახე: უნივერსიტეტი), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს“ 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განესაზღვროს 1800 - ით.
რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი, 2026 წლის 08 ოქტომბრამდე.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 08 ოქტომბერი.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მესამე მისიის პოლიტიკა, რომელიც ხელი შეუწყობს ქვეყნის სოციალურ განვითარებას სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამებისა და ღონისძიებების, მათ შორის უწყვეტი განათლების

ინიციატივების განხორციელებით. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელება სისტემურად უნდა აისახოს 7-წლოვან განვითარების სტრატეგიასა და 3-წლიან საქმიანობის გეგმებში.
2.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს მართვის მაღალი რგოლის პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას. ინსტიტუციის ფართო საერთაშორისო პარტნიორობებიდან და ამბიციური ინტერნაციონალიზაციის დღის წესრიგიდან გამომდინარე ხელი შეეწყობა სტრატეგიული განვითარების მიზნების
მხარდაჭერასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდას.
2.1.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტები ყოვლისმომცველი საერთაშორისო გამოცდილების თანაბარი შესაძლებლობებით ყველა აკადემიური მიმართულებებით.
2.3.1. რეკომენდებულია, შემუშავდეს ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკა აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ფორმალიზება პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელს შეუწყობს სიცხადეს, თანმიმდევრულობას და ეთიკურ შესაბამისობას საგანმანათლებლო საქმიანობაში.
4.1.1. რეკომენდებულია, მეტად გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესის ხარისხი, დაწესებულებამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ისეთი აკადემიური პერსონალის რეკრუტირებას, რომელიც ექსკლუზიურად მხოლოდ ჯიუში იქნება დასაქმებული.
4.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს რეალურ შესრულებაზე დაფუძნებული სამუშაო დატვირთვის ოპტიმიზაციის სისტემა, რომელიც მოიცავს დროის მოქნილად განაწილებას და პროდუქტიულობის წახალისებას, რომ პერსონალის ადეკვატურმა რაოდენობამ და სამუშაო დატვირთვის საათებმა უზრუნველყოს
საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური განხორციელება და კვლევითი შედეგები.
4.2.2. რეკომენდებულია ჯიუმ შეიმუშაოს და დანერგოს საქმიანობის შეფასების გაუმჯობესებული კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული საქმიანობის ფუნქციების სათანადო შეფასებას, პერსონალის ეფექტურობისა და ინსტიტუციური წვლილის ზუსტად გაზომვის მიზნით.
4.2.3. რეკომენდებულია, კვლევითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად, გლობალური თანამშრომლობის და კვლევითი ფუნქციების ადეკვატურობის გასაუმჯობესებლად, გაიზარდოს საერთაშორისო ჩართულობის შესაძლებლობები და პერსონალის მობილობის პროგრამები.
4.2.4. რეკომენდებულია, ჯიუმ აფილირებულ პერსონალს შესთავაზოს სამუშაო საათების მოქნილი გრაფიკი კვლევითი პროდუქტიულობის გაუსაუმჯობესებლად, სასწავლო და ადმინისტრაციული ვალდებულებების შენარჩუნებით.
5.2.1. რეკომენდებულია, სტრატეგიულად გაძლიერდეს როგორც აქტიური სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების დასაქმების მხარდაჭერის მექანიზმები.
5.2.2. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მეტად გააძლიეროს მობილობის მხარდაჭერა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან სტრატეგიული პარტნიორობების გაფართოებით, აქტიური სტუდენტების ინფორმირების, მომზადებისა და მოტივირების მიზნობრივი მექანიზმების დანერგვით, მობილობის პროგრამების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე - განსაკუთრებით სამართლის სკოლის სტუდენტებისთვის, რომლებმაც გასაუბრების დროს აღნიშნეს გაცვლითი შესაძლებლობების
ნაკლებობა სხვა სკოლებთან შედარებით - და სტუდენტების წახალისებით, რომ მონაწილეობა მიიღონ არამხოლოდ სასწავლო გაცვლით პროგრამებში, არამედ საერთაშორისო სტაჟირებაშიც.
5.2.3. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მაგისტრატურის სტუდენტებისათვის დანერგოს მიზანმიმართული სამოტივაციო მექანიზმები და ასევე უფრო მოქნილი ფორმატები შესთავაზოს სამეცნიერო და კლასგარეშე საქმიანობისათვის.
6.1.1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმეები, მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობისათვის.

6.1.2. რეკომენდებულია ყოვლისმომცველი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომლის მიზანიც იქნება გააძლიეროს უნივერსიტეტის შესაძლებლობები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სხვა ადგილობრივი ან საერთაშორისო საგრანტო დაწესებულებების კვლევითი დაფინანსების მოპოვების მიმართულებით.
6.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს კვლევის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია საერთაშორისო თანამშრომლობითი კვლევითი პროექტების განვითარების ხელშეწყობით და აკადემიური პერსონალის გლობალურ სამეცნიერო ქსელებში მონაწილეობის წახალისებით.
6.2.2. რეკომენდებულია, სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაიზარდოს დაფინანსება.
7.2.1. რეკომენდებულია, უსდ - მ გაზარდოს ხელმისაწვდომი კვლევითი მონაცემთა ბაზების რაოდენობა (მაგ. EBSCO), უზრუნველყოს წვდომა როგორც უნივერსიტეტიდან, ისე სხვა ლოკაციიდან, ასევე აამაღლოს სტუდენტების ცნობიერება ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ.
7.4.1 რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს ფინანსური მართვის მექანიზმები ბიუჯეტირების, რისკების მართვისა და ხარჯების კონტროლის სისტემების გაძლიერებით, რათა უზრუნველყოს მდგრადი ფინანსური სტაბილურობა და ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ განვითარებას.

მეორე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შეფეგების განხილვა.

- **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

არა.

- **საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

კი

ემილ ავალიანი (საბჭოს წევრი) - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნანი არაბულმა, განმარტა, რომ მათ მიერ შეფასებული იყო მხოლოდ მეშვიდე სტანდარტი, ხოლო ადგილზე ვიზიტი 2025 წლის 25 ივნისს გაიმართა. მისი თქმით, ყველა შეხვედრა გურამიშვილის ქუჩაზე იყო. არაგეგმური მონიტორინგის მიზანი იყო დაწესებულების მიერ ახალი ფართის დამატება.
მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ფართი გააფართოვა, რის გამოც ექსპერტებმა შესაბამისი სივრცეც დაათვალიერეს. ფართი სრულად დასრულებული იყო, ხოლო აუდიტორიები და საპროფესორო ოთახები აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით.
ერთადერთი პრობლემა უკავშირდებოდა ბოლო სართულზე განთავსებულ საბიბლიოთეკო სივრცეს, სადაც სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ ბიბლიოთეკა სასწავლო პროცესის დაწყებამდე სრულად აღიჭურვოს შესაბამისი ლიტერატურით, საინფორმაციო ტექნიკით, ინტერნეტით და ბიბლიოთეკით სარგებლობის მოწესრიგებული სისტემით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ტალიაშვილმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უკვე შესრულებულია და ბიბლიოთეკა სრულად აღჭურვილია ინვენტარით და ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა: სრულად გადმოვიდა თუ არა ძველი ბიბლიოთეკა ახალ ფართზე, თუ ეს ახალი კორპუსისთვის დამატებით შექმნილი ბიბლიოთეკაა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს სულ სამი ბიბლიოთეკა აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ახალ სივრცეში გაიხსნა.
საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ, იკითხა, რამდენი შენობა აქვს უნივერსიტეტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ტალიაშვილმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს რამდენიმე შენობა აქვს რომლებიც განაწილებულია თბილისის სხვადასხვა უბანში - გურამიშვილის გამზირზე, სარაჯიშვილის გამზირზე, ლუბლიანას ქუჩაზე, ხოლო ახალი კორპუსი მათ მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარეობს.
ნინო ჩინჩალაძე ასევე დაინტერესდა სტუდენტთა რაოდენობით.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სტუდენტთა კვოტა 5 330-ს შეადგენს, ხოლო დაახლოებით 5 200 სტუდენტი აქტიური სტატუსით არის რეგისტრირებული.

სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება

დაწყების დრო: 11:53
დასრულების დრო: 11:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 08 ოქტომბერი.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 12:11 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ